შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 16. ხუთშაბათი, 1 ივნისი, 1906 წ. **გაზეთის № 46**

*
* *

(თარგმანი)

ძმებო, დროშა გაიშალა,
ხედავთ წითლად გადიფარა,
შევაჯგუფოთ ჩვენი ძალა
და დავძახოთ კვლავ სიმღერა!
მაღლა ასწით, ამ ქუჩაზედ
ტალღასავით გავიღვაროთ,
გადავადგათ მკლავი მკლავზე,
წინ, მუშებო, წინ ვიაროთ!
მზე ამოდის, ხალხს ვახაროთ,
წითლად ელერავს განთიადი,
კრიმანჭულში დავიძახოთ
გვითენდება დღე დიადი.
შეგვაშრება ცრემლი თვალზე,
მოისპობა ტანჯვა, კვნესა,
მონა ავა ტრიბუნაზე,
გლოვის ზარი ბატონებსა!

—

მაშ, დავძახოთ ერთად, ძმებო,
ჩვენ სიმღერა მხიარული,
გავახაროთ, მეგობრებო,
დატანჯული ხალხის გული!
დე, გაიგოს, შეკრბეს ისიც,
ჩვენს მიძახილს მისცეს ბანი,
სხვის უფლება და თავისიც
აღიდგინოს, დადგა ხანი!
დე ჩვენს ხმაზე გაიღვიძოს,
გაძრას ტოტი მამაც ლომმა,
დე, წარსული დაამიწოს
ამხედრებულ ხალხის ომმა!

ი. ეგდოშვილი

მარსელელნი.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა.)

ფელიქს გრასი.

(შემდეგი*)

V

გზაში

ვახშმობის დროს მამაჩემმა გვითხრა:

— საღამოს ათ საათზედ მოგვიტანენ ერბოს და უეჭველად შინ უნდა დახვდეთ ვინმე, რომ ჩაიბაროთ, მე წისქვილში ვიქნები.

— კარგი, — უთხრა პაპამ, — მე შინ დავრჩები და თვალყურს ვადევნებ, კარგად დაავსონ ქილები.

— მაშ ჩვენ ამალამ პასკალ ის ყურის საგდებად არ წავალთ? — ვკითხე შეწუხებულმა. — დღეს პასკალმა პარიზის ამბავი უნდა გვიამბოს.

— ახლა მაშ ჩვენ მთელი წელიწადი უერბოოთ უნდა დავრჩეთ რაღა, რაკი ამას რაღაცა ზღაპრების გაგონება უნდა, — სთქვა მამაჩემმა წარბების შეკმუხვნით.

— კარგი, კარგი, შენა და პაპაშენი წადით, — სთქვა დედამ, — მე კი მუშებს დავუცდი და ერბოსაც დავაბინავებინებ.

— ოჰ, კეთილო დედავ! — ეს ადამიანი ყველაფერს იკისრებდა, ოღონდ შვილისთვის ესიამოვნებინა.

პაპამ სანათი აანთო და გაჩქარებული წავედით.

ტყუილად კი არ მივეშურებოდით, ჩვენ რომ მივედით, ყველანი იქ იყვნენ და ის იყო პასკალმა პირი გააღო ამბის გასაგრძობად.

— ძალიან ჩქარა მივდიოდი მ. რონის ნაპირებთან და ვარჩევდი მოკლე ბილიკებს. ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებით, შევსილი მოწითალო მთვარე ჩამავალ მზესა ჰგავდა. მდინარე ნელა მიიზლაზნებოდა ვერხვების ჩრდილ ქვეშ. ბულბულები გაღმა-გამოღმა ხმას აძლევდნენ ერთმანეთს. ბალახებში ანათებდნენ ციცინათელები. დრო და დრო ისმოდა ჩურჩული ყმაწვილ ქალთა და ვაჟთა, რომელნიც ამ მშვენიერ ღამეს ცის ქვეშ ატარებდნენ. მაგრამ მე ვერაფერმა შემაჩერა. მოშორებით ვერდეტის ტყე მოსჩანდა და იმას თვალს არ ვაშორებდი. მხოლოდ ის მაშინებდა, რომ არ დამეგვიანა და მარსელელებს არ გაესწროთ ჩემთვის. დარწმუნებული ვიყავ, რომ არა ბედნიერება, სიხარული არ შეედრებოდა ჩემს ბედნიერებას და სიხარულს, როცა მარსელელების რაზმში ჩავდგებოდი და წავიდოდი დასამარცხებლად იმ მთავრობისა, რომელმაც უღალატა ერს.

ვერდეტის ტყის მახლობლად გაყვანილი იყო არხი. ის იყო უნდა გადამხტარვიყავ ამ არხზე, რომ ვიღაცამ მაღალის ხმით დამიძახა:

— ვინ მოდის?

— თავისუფლების მეგობარი! — მივუგე მე.

— დამენახვე, ვინა ხარ?

— პასკალი ვარ, ავინიონელი.

— ვიცი, ვიცი, პატარა ბიჭო. გაუმარჯოს ეროვნებას! ჩვენ კი გვეგონა, დალახვროს ღმერთმა, რომ დაგვეკარგე.

იმავე წამს ყოველ მხრიდან: თხრილებიდან, ტყიდან გამოცვივდნენ მარსელელები, უფროსი მუასსონი, კაპიტანი გარნიე და ფელდეფებელი ვოკლერიც. ვოკლერი მომვარდა, ბავშვივით ხელში ამიყვანა და დამკოცნა. ლაპარაკს ველარ ახერხებდა მღელვარებისაგან და ორივენი სიხარულისაგან ვტიროდით.

— ლაზული ნახე?

— რასაკვირველია, ვნახე. ლაზულიმ გადმომცა თოფი, ხმალი და ჩემი პარკი.

ვუამბე რაც შემემთხვა.

— დროს ნულარა ვკარგავთ, — სთქვა ბოლოს მუასსონმა, — საცა მზე ამოვა, დროა ჩვენი წასვლისა. აბა, დაუკარით წასვლის ნიშანი.

ვოკლერი მაინც მე მელაპარაკებოდა.

— ეს დაუჯერებელია! შეუძლებელია! ლაზულიმ რაღა გითხრა?

— იმან მითხრა, რომ იმ კვირაა დილიჯნით წამოვა პარიზში პატარა კლერეთი ერთად. ჩვენ გაგვისწრებს ის და პარიზში დაგვიცდის. ლაზულისაც უნდა ჩვენს საქმეში მონაწილეობა მიიღოს.

— მშვენიერებაა: უფრო მხიარულად ვიქნებით, მეც საზრუნავი შემიმსუბუქდება. ახლა შენ როგორ ივლი ჩვენთან,

---

*) იხილე დამატება № 15.

პასკალ? შენ ძალიან დაღლილი ხარ და ჩვენ კი გვინდა დაუსვენებლივ გავიაროთ ექვსი მილი ორანჟამდე.

— სრულიადაც არა ვარ დაღლილი. ორანჟაში რად უნდა დავისვენოთ? მე, როგორც ბავშვს, მეგონა, რომ პარიზი არც ისე შორს იყო და დაუსვენებლივ შეგვეძლო იქამდე სიარული.

ჩვენი ბატალიონი მწყობრად გაუდგა გზას დაფის ხმაზე და მარსელიეზას სიმღერით. მე მედაფეებს უკან მივდევდი, გვერდით მომდევდა ის ფედერალისტი, რომელსაც ავინიონში დროშა დაჰქონდა. ნამდვილი მარსელელი იყო—კეთილი, მხიარული, მოხუმარი. სახელად ერქვა სამატ. მე ფეხდაფეხ მივდევდი იმას და იმასთან ერთად მაღალის ხმით ვმღეროდი: „შევიარაღდით, მოქალაქენო!“

—ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ!— მაქეზებდა ის.

მეც, რაც შემეძლო, ვუმატებდი სიარულსაც და სიმღერასაც, დარწმუნებული, რომ ავინიონში კი არა, ჩემს სოფელშიაც ესმოდათ ჩვენი სიმღერა და თვით დედა-მიწაც კი ირღვეოდა ჩვენის სიარულისა და სიმღერისაგან.

მზის ამოსვლისას გავიარეთ პატარა სოფელი სორგო. იქაური მცხოვრები, კაცი და ქალი, საწოლებიდან წამოხტნენ და სარკმელებიდან დაგვიწყეს ცქერა. ახალგაზდობა ტაშს გვიკრავდა, კოცნას გვითვლიდა და ჰყვიროდა:

— გაუმარჯოს მარსელელებს! ძირს მტანჯველები!

მხოლოდ მოხუცნი თავს გვარიდებდნენ, პირჯვრის წერით სარკმლებს ჰკეტავდნენ და იფურთხებოდნენ.

სოფ. სორგოს შემდეგ სულ ტრიალი მინდორი იყო ოქროს ფერ ყანებით შემკული. შუადღისას ორანჟაში მივედით. იქაური მცხოვრებნი გამოგვეგებნენ, წინ მოუძღოდათ მამასახლისი. ქალაქში რომ შევედით, სამატმა გააფრიალა თავისი დროშა და სულყველას, ვინც არა ყვიროდა: „გაუმარჯოს ეროვნებას“, ამთხვევინებდა დროშაზე. აღტაცებაში ვიყავ და მეგონა, რომ ყველა მე შემომყურებდა.

სამმართველოში მამასახლისმა დაუსრულებელი სიტყვა სთქვა, მაგრამ ვერავინ ვერა გაიგო-რა, ბოლოს ერთმა მარსელელმა, სახელად მორგანმა, შეაწყვეტინა სიტყვა და ხმა მაღლა უთხრა:

— კარგი, კარგი. თქვენ ძალიან მჭევრმეტყველობთ, მაგრამ ჩვენ ხახა გაგვიშრა და, კაი ღვინით რომ დაგვასველებინოთ, ძალიან საუცხოვო იქნება. გაუმარჯოს თავისუფლებას!

ყველამ გაიცინა და ტაში დაჰკრა. კეთილმა მამასახლისმა კი გვითხრა:

— ვხედავ, ჩემო მეგობრებო, რაშიაც არის საქმე. თქვენ ყელის დასველება გინდათ. მაშ წამოდით ტრიუმფის მოედანზე. იქ გელით მშვენიერი ღვინო და კარგი პური. გაუმარჯოს თავისუფლებას!

რაკი სული მოვიბრუნეთ, ყველანი დავიფანტეთ ხეივანში და, ვისაც სადა სურდა, მივწექით დასასვენებლად. მეც ვოკლერის გვერდით მივწექი, თავ ქვეშ ჩემი პარკი დავიდე, თოფიც მაგრა მეჭირა ხელში. საჩქაროდ დამეძინა. რაც ავინიონში ღღე დამადგა, სიზმარში მომელანდა და შეშინებულმა თვალები რომ გავახილე, ვოკლერს ხელი დავუჭირე და გაოცებული დავრჩი: პარიზის გზაზე მიჰქროლავდა მარკიზ იმბრენის ეტლი.

— რა მოხდა?—მკითხა ვოკლერმა.

— აბა შეხედეთ აი იმ ეტლს. შიგ მარკიზ ამბრენია და წინ სურტო უზის.

სახელმწიფო სათათბიროს წევრნი

სერგეი ჯაფარიძე.

ივანე გომართელი.

— მართლა! აჰ, რა ვწუხვარ, რომ ადრევე ვერ გავიგეთ. იგივე გაიმეორა მუასსონმა.

— რა კარგი შემთხვევა დავკარგეთ!—სთქვა იმან,—სამ მშვენიერ ცხენს წავართმევდით და ჩვენს ზარბაზნებს წავიღებდით იმ ცხენებით.

გარნიემ გვიბძანა წასვლა. დაფი დაჰკრეს. ჩვენ გავედით ქალაქიდან, ხალხმა აღტაცებით გაგვაცილა.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა სოფ. მორნა, რომელშიაც მზის ჩასვლისას გავიარეთ. კარებები და სარკმლები ჩაკეტილი ჰქონდათ, ერთი ადამიანი არსადა სჩანდა, მხოლოდ შეშინებული ქათმები დარბოდენ გზაზე და კაკანებდენ.

— ეს კი არაფერია!—სთქვა სამატმა, რომელმაც ტყუილად გაშალა თავისი დროშა.

— აი ეშმაკმა წაგიღოთ! ნეტა სად გადაკარგულან აქაურები? — ყვიროდა მორგანი მაღალის ხმით და ურახუნებდა თოფის კონდახით ყველა კარს.

ეს სოფელი რომ გავიარეთ, მაინც გვესმოდა ქათმების კაკანი მივიხედე და მივხვდი, რაც ამბავი იყო.

ზოგი ფედერალისტი გულმოსულნი, რომ არავინ სჩანდა, გამოუდგა ქათმებს, დაიჭირეს ბლომად, წამოაცვეს შუბებზე ან ხმლებზე და დაჰქონდათ გამარჯვების ნიშნებივით. ქათმები საცოდავათ წიოკობდენ და ჰკვნესოდენ, ჯარის კაცები კი იცინოდნენ.

ბინდდებოდა. სიმღერა და ლაპარაკი აღარ ისმოდა. ჩვენ კი სულ მივდიოდით.

მოულოდნელად შორიდან გამოჩნდა სინათლე. ყველამ იქით მივაპყარით ყურადღება და ყველა თავისიბურად ხსნიდა ამ მოვლენას.

— დილიჟანია!—სთქვა ერთმა.

— ეტლია!— სთქვა მეორემ.

— მატანტალა ცეცხლია,!—ირწმუნებოდა მესამე.

სინათლე სულ გვიახლოვდებოდა, ბოლოს გამოჩნდა კაცი სანათით. საშინლად იქნევდა ხელებს, თითქოს გზა უნდა გადაეღობნა ჩვენთვის და ყვიროდა რაც ღონე ჰქონდა:

— შეგვიბრალეთ! შეგვიბრალეთ! ჩვენ კეთილი პატრიოტები ვართ, მხოლოდ ღარიბნი, შეგვიბრალეთ! ყველაფერს მოგცემთ, რასაც მოითხოვთ, ოღონდ ნუ დაგვღუპავთ.

— ერთი ეს თქვით, თქვენ ვინა ხართ?—ჰკითხა სამატმა, გამოართვა სანათი და აათვალიერ-ჩაათვალიერა,—თქვენ ვინ გითხრათ, რომ ჩვენ ყაჩაღები ვართ და თქვენთვის ბოროტი გვსურს?

— მე ვარ კონსული სოფ. პიოლატისა. ხალხი რომ გაიხიზნა, მთხოვა: აჰამეთ და ასვით სამყოფიო. იმათ დაბარებულს ავასრულებ, ოღონდ ნუ გადასწვავთ ჩვენს სახლებს და ნუ დაგვიღუპავთ ქონებას!

— სულელო,—მიუგო მორგანმა.

ხალხმა უნებლიეთ ხარხარი მორთო, იმდენად სასაცილო სანახავი იყო კონსული, რომელიც ციებიანივით კანკალებდა. არა, შენ ვინა გგონივართ? ავაზაკები თუ კაცის მკვლელები? უთხარ შენი სოფლის ხალხს, რომ ჩვენ თავისუფლებისთვის მებრძოლნი ვართ და სულ ორი დოქი ღვინო გვეყოფა.

ეტლმა როგორც-კი გაიარა,—იმათ მაშინვე თავს უშველეს და რონის კუნძულებზედ გაიხიზნენ.

— რომელი ეტლი?

— არ ვიცი. რომელიღაც ეტლი საღამოს ჟამზე შედგა ჩვენს მოედანზე და მეეტლემ დაგვიძახა: „კეთილო ხალხო, თავს უშველეთ, მარსელელი ყაჩაღები მოდიან, სულ ამო-

გხოცავენ და თქვენს ქონებას აიკლებენო". ამაზედ მეტი აღარა უთქვამს-რა, მაშინვე დაიძრა და წავიდა.

— ჩვენ ვიცით, ვისი ეტლიც არის!—მიუგო ვოკლერმა, —ჩვენ პარიზში ვიპოვნით ეტლსაც და იმის პატრონ მარკიზსაც.

— კარგი, კარგი,—უთხრა მორგანმა,—ხელში რომ სანათი გიჭირავთ, აბა, გაგვიძეხით და ის ღვინო გვაჩვენეთ, სად არის, რომ პირი გავისველოთ. სხვა არა გვინდა-რა თქვენგან.

— დიდის სიამოვნებით,—სთქვა მოხუცმა და გაუძღვა წინ ჯარს, თან ბუტბუტებდა:—ასე რო სცოდნოდათ, არას დროს არ წავ·დოდნენ რონის კუნძულებზედ, საქონელიც კი თან წაიყვანეს. დედაკაცები ღრიალებდნენ, ბავშვები ტიროდნენ! მარტო მე დავრჩი. ჩემს თავს ვუთხარი: შენ ამ სოფლის უფროსი ხარ და, თავიც რომ მოგჭრან, აქ უნდა იყო და შენი მოვალეობა აასრულო.

— რას ბურტყუნებ, მოხუცო?—ჰკითხა მორგანმა,—ჩქარა მიგვიყვანე ღვინის სარდაფამდე?

— ეხლავ

მართლაც იმავ წამს მიადგა დაკეტილ კარებს.

— აი, ეს მთელ სოფელში ყველაზედ სავსე სარდაფია ღვინით, მაგრამ გასაღები კი თან წაუღიათ.

— ნუ სწუხართ, ჩვენ ყველანაირი გასაღები გვაქვს ამისთანა შემთხვევისათვის. პელლუ! მოიტა ე ჩვენი სამჭედლო ყველა კარებს გავაღებთ, თუნდ ხელმწიფის სასახლისასაც პარიზში.

რვა კაცმა მოაგორა ურემი და ისეთის ძალით მოხვდა კარებს. რომ კარი ჩამოვარდა და ჩვენ ყველანი შევედით სარდაფში. მივცვივდით ღვინოებს და კარგა ბლომად ვსვით. როცა ყველანი შევზარხოშდით, გავედით სოფლის მოედანზე წამოვწექით ჩალაზე და იქვე დაგვეძინა.

გათენებისას ჯარის უფროსმა და ვოკლერმა, რომელნიც არც კი მიჰკარებიან ღვინოს და მთელი ღამეც გვიდარაჯეს ბუკი დაჰკრეს ასადგომად, ჩვენც საჩქაროდ წამოვხტით და წამზე მზად ვიყავით წასასვლელად·.

ჯარის უფროსმა მწყობრად დაგვაყენა და გვითხრა:

— მე ვიცი, რომ რიგიანი მამულის შვილები ხართ და თქვენს მოვალეობას რიგზე შეასრულებთ, უშიშრად. მეგობრებო, სამშობლო განსაცდელშია: საფრანგეთი იღუპება, მთავრობამ უღალატა ხალხს და დაეკავშირა უცხოელებს. კარგად ჰქენით, რომ დაისვენეთ, ეხლა ფეხი ავაჩქაროთ, წავიდეთ პირდაპირ პარიზში, იქ ვაჩვენოთ, რა ვაჟკაცები არიან წითელი სამხრეთელნი.

ყოველი მხრიდან მოისმა ძახილი:

— გაუმარჯოს ეროვნებას!

მერე ჯარის უფროსმა მიმართა სოფ. პიერ·ლატის კონსულს და უთხრა!

— მოქალაქე კონსულო! შენ ეტყვი ამ სოფლის მცხოვრებთ, რომ მარსელელი ბატალიონის ჯარის კაცნი ისეთივე შვილები არიან თავის მამულისა და ისეთივე მუშაკნი, როგორც ისინი. აი, ეხლა ესენი მიდიან პარიზში, რომ გააწყონ მძლავრი მთავრობა, მაგრამ გზაში ავაზაკებსავით კი არ იქცევიან, არამედ პატიოსანნი არიან და ყოველე წანახედში სასმელ-საჭმელში ფულს იხდიან.

ამ ლაპარაკში ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და მისცა.

— ამ ქაღალდს ხაზინაში წარადგენთ და მიიღებთ დანახარჯს და წანახედის ნაფასურს.

გახარებული კონსული თავის თვალებს არ უჯერებდა და მეტის მღელვარებით ცახცახებდა.

ბუკი უკრავდა წასვლისას და ჩვენც გავწიეთ პარიზის გზაზედ მარსელიეზის სიმღერით.

მე წინა წყებაში მივდიოდი ფელდფებელის პელუს გვერდით, მინდოდა დაველაპარაკებოდი და როგორმე ნება ამეღო, რომ ზარბაზანი მე წამეღო, ამითი მეტ ყურადღებას დავიმსახურებდი და პატარა ბიჭათ აღარ ჩამთვლიდნენ, მაგრამ პელლუმ მითხრა:

— მოიცადე, შენი რიგი მერე იქნება. პარიზამდის დიდი მანძილია და შენ მაგ თოფ-ხმლის და საგზლის თრევითაც დაიღლები.

გავწითლდი და აღარ ვთქვი რა. ამ დროს საიდანღაც გაჩნდა ერთი ქათამი, ხან აქეთ ეცა, ხან იქით, თან კაკანებდა. ყველა ცდილობდა დაეჭირა, ბოლოს მე წამოვაგე შუბზე და ისე წავიღე.

ამხანაგები შურით მიყურებდენ და ამბობდნენ.

— ერთი ამ პაწიკელას უყურეთ რა ყოჩაღად დაიჭირა!

— ვოლკერმა რომ დამინახა, წარბები შეიკრა და მკითხა:

— ვისია ეგ ქათამი?

— ჩემი.

— იყიდე?

— არა.

— მაშ მოგიპარავს. ამის შემდეგ ეგ აღარ გაბედო!

ძალიან შემრცხვა. ვოკლერი მართალს ამბობდა; სწორედ მოვიპარე ქათამი, ვინ იცის, რა ღარიბისა იყო! ამ ფიქრით დავეწიე სამატსა და მორგენს. რომ დამეფარა ჩემი შერცხვენა, რაც კი შემეძლო, მაღლა მოვყევი სიმღერას: „წინ გასწით მამულისშვილნო!"...

— შენა ხარ? მკითხა სამატმა,—საიდგან გიშოვნია ეგ ქათამი? ჩვენ საწყლებს კი არა გვაბადია-რა.

— გინდათ ამისთანა ქათამი?—ვუთხარი მე და წამოვაგე იმ შუბზე ჩემი ქათამი.

— შეხე ამასა, ჭკუა კი არ აკლია: მე ამკიდა თავისი ქათამი, არა უშავსრა, მე ამას შევწვამ და ერთად შევექცევით.

სამივემ სიმღერა დავიწყეთ: „წინ გასწით მამულისშვილნო"!...

აღტაცებული ვიყავ სიხარულით, თითქოს გულიდან ლოდი მომეხსნა. მეტის სიამოვნებით ხან თავს მოვექცეოდი ჩვენ რაზმს და ხან ბოლოს და სულ მარსელიეზას ვმღეროდი.

ბოლოს მივედით პატარა ქალაქ მონტელიმარში. ქუჩები სავსე იყო ხალხით. პატრიოტების საკრებულოზე ფრიალებდა წითელი ბაირაღი. ჩვენ დავბანაკდით მდინარის პირას, შევწვით ჩვენი ქათამი და ერთად შევჭამეთ, მერე გავგორდით ბალახზე და დავიძინეთ.

ამ რიგად კარგა დავისვენეთ, ღონე მოვიკრიფეთ და მზის ჩასვლისას გავუდექით გზას. მონტელიმარას მცხოვრებმა ბლომა საგზალი გაგვატანეს.

მთელი ღამე უსვენებრივ ვიარეთ. თუმცა ცხელოდა, მაგრამ მაინც ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ვგრძნობდი, რომ სამხრეთს ვშორდებოდით და ჩრდილოეთს ვუახლოვდებოდით ასეთ გასასტერებელ განსხვავებას რომ ვამჩნევდი ბუნებას, უნებლიეთ ვსთქვი:

— მაშასადამე ძალიან დავშორებივართ სამხრეთს.

— არა, მომიგო მორგანმა: ჩვენ კიდევ ბევრი სასიარულო გვაქვს, მაგრამ არა უშავს-რა, თუ 15 დღეზე არა, ოც დღეზე მაინც მივალთ პარიზამდე და ვაჩვენებთ სეირს იმ მოღალატეებს.

მეორე დღეს გავიარეთ ვოლანსაზე, მაგრამ არ შევჩერებულვართ, რადგან ჯარის უფროსი ძალიან ეშურებოდა პარიზში, თუმცა ძალზე დაღლილები ვიყავით, მტვრით სავსენი, მაინც მხნედ და გულადათ, თოფებით ხელში, დაფნის ტოტებით ქუდებში გავიარეთ ქალაქზე. მცხოვრებნი შეშინებულნი გვიყურებდნენ, არ იცოდნენ, მეგობრები ვიყავით თუ მტრები.

საღამოზე კარნაშსკის ტყეში დავბანაკდით, მეორე დღეს კი ისევ შეუჩერებლივ ვიარეთ. ძალიან სამძიმო იყო დაუსვენელად სიარული, მაგრამ ის რწმენა, რომ თავისუფლება გაიმარჯვებდა, ღონეს გვიმატებდა. ხალხი მინდვრად იყო გამოსული, ყანებს მკიდა, მზის ჩასვლისას შორიდან გამოჩნდა ქალაქი ვიენა და მისი დიდი ტაძარი წმ. მავრიკისა.

მეტის-მეტად მინდოდა, რომ ამ ქალაქში ზარბაზანი მე შემეტანა. განგებ ჩამოვრჩი სხვებს და რაზმის ბოლოს მოვექეც.

— ოჰო,—ვუთხარი იმ ჯარის კაცთ, რომელნიც ზარბაზანს მოათრევდნენ დღ დაღლილობით ძლივს-ღა სუნთქავდნენ,—როგორც გეტყობათ, ძალიან ჯაფა გადგიათ.

— აი, გამოსცადე, და ნახავ, რაც არის.

— დიდის სიამოვნებით!

— ნელა, ნელა!—მითხრა პელლუმ, რო ნახა რა გულმოდგინეთ შევუდექ საქმეს,—ნურც აგრე ჩქარობ, თასმას გასწყვეტ. რას მამაცობ? მოესწრობი დაღალვით ჩაღრძოპას!

მივხვდი რომ დამცინოდა, და ძალზე ვეწეოდი ზარბაზანს.

ნელ-ნელა ავედით გორაზე, რომელზედაც გაშენებული იყო ქალაქი, ზარები ირეკებოდა, ზარბაზნებს ისროდნენ და ხალხი მოგვეგება. ფედერაციის სადღესასწაულო დღე იყო—14 ივლისი. ქუჩები გატენილი იყო ხალხით, ძლივს გააპობდით გზას. დიდად ვცდილობდი, ყურადღება მოექციათ ჩემთვის და თუ ყმაწვილ ქალების ჯგუფს შევამჩნევდი, დიდგულად მივხედავდი და მაღალს ხმით შევძახებდი: „გაუმარჯოს ეროვნებას!“ როცა რომელიმე ყმაწვილი ქალი ჩემზე მოუთითებდა და იტყოდა: „ერთი შეხედეთ, რა საშინელი სანახავია!“—აღტაცებაში მოვდიოდი. პირიქით სირცხვილით ვწითლდებოდი, თუ ვინმე შენიშნავდა: „შეხედეთ, რა ერთი ბეწო ბიჭია, ჯერ წვერ-ულვაშიც არ ამოსვლია!“



მთელი საღამო პატრიოტებთან სმაში გავატარეთ.

მეორე დღეს ჩვენმა ბატალიონმა სადღესასწაულო მარშით გაიარა ფედერაციის ამბონის წინ, რომელიც მორთული იყო მოედანზე. აქ შევდექით, მის წინ მუხლი მოვიდრიკეთ და ვიმღერეთ მარსელიეზის ლექსიდან შემდეგი სიტყვები: „სამშობლოსადმი სიყვარული წმიდაა.“

არცკი გაგვეთავებინა სიმღერა, რომ დავინახეთ მოწაფეთა რაზმი ბერის მეთაურობით. იმათაც მუხლი მოიდრიკეს და იმღერეს მარსელიეზა, მაგრამ ის სიტყვები, რომლებიც ჯერ ჩვენ არ გაგვეგონა:

ჩვენც მაშინ გავუვეთ იმათა,
როს აღარ იქვნენ მოხუცნი....

ჰე მეგობრებო! ნეტამც გენახათ ის სურათი! დიდი და პატარა აღტაცებაში იყო, თვალებზე ცრემლები ერეოდათ, თითო ჩვენგანმა მოხვია ხელი თითო მოწაფესა და გადაჰკოცნა, ჯარის უფროსი მუასო გადაეხვია ბერს, რომელიც მასწავლებლად იყო სკოლისა და მაღალის ხმით უთხრა:

— მადლობელი ვარ, ახალი ხანა გვასწავლეთ მარსელიეზასი, თქვენი შეთხუზული იქმნება ნამდვილად, ჩვენ მაგას პარიზში ვიმღერებთ ციხე-დარბაზების ნანგრევებზედ.

— თქვენმა პატრიოტულმა ჰიმნმა მეც აღტაცებაში მომიყვანა,—უთხრა თვალცრემლიანმა ბერმა,—მე არასოდეს არ გამგონია ეგოდენ დიდებული და ზეციური გალობა. ღმერთმან გაკურთხოთ და მოგანიჭოთ სამშობლოს მტერზე გამარჯვება!

დაჰკრეს ბუკი და წავედით სიმღერით: „წინ გასწით, სამშობლოს შვილნო!..“

ვიენის მცხოვრებლებმა გაგვაცილეს სიხარულის ყიჟინით. მე ისევ ზარბაზანს მივათრევდი, თან პატარა ბიჭები მომდევდნენ და მოჰქონდათ ზოგს თოფი, ზოგს ხმალი და ზოგს ჩემი პარკი. რადგან ჩქარის ნაბიჯით მივდიოდით, ბიჭებიც სირბილით მოგვდევდნენ, რომ არ ჩამოგვრჩენოდნენ. ასე გვდიეს სიხარულით და ყბედობით, სანამ ქალაქი მოგვეფარა თვალიდან, მაშინ კი გამოვეთხოვეთ. ისინი დაბრუნდენ სიმღერით:

„ჩვენც მაშინ გავუვეთ იმათა,
როს აღარ იქვნენ მოხუცნი“...

აქ ჩვენი უფროსი შედგა და დიდის გრძნობით სთქვა:

— მეგობრებო, ყური მიუგდეთ! ამ სიმღერას. უკანასკნელად ისმენთ სამხრეთულ პატრიოტების ხმას. ჩვენ ეხლა გადავედით ჩრდილოეთ საფრანგეთში, სადაც სცხოვრობენ არა პატრიოტები—ესენი მხოლოდ რევოლუციის საწინააღმდეგოდ მოწვეულ უცხოელებს უხვდებიან სიამოვნებით. ჩვენ ვაუწყოთ იმ არისტოკრატებს, ვინა ვართ და რა გვსურს, შეიგნონ რომ არავითარი გაჭირვება არ შეგვაყენებს, გავაგებინოთ, რომ ჩვენი ლოზუნგია—ან თავისუფლება ან სიკვდილი?

კიდევ დაჰკრეს ბუკი და გავუდექით გზას.

ელენე ანტონოვსკაისა.

(შემდეგი იქნება)

ვის უფრო სდევნიან მედგრად?

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ხ. რცხილაძე.**